# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

# ბრძანება № 6/8

ქ.თბილისი

„02" მარტი 2016 წ.

**„საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით კომისიაში ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების იდენტიფიცირებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" კომისიის 2015 წლის 1 ივლისის №6/18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით კომისიაში ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების იდენტიფიცირებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" კომისიის 2015 წლის 1 ივლისის №6/18 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1.1. ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით შეიქმნას ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრების იდენტიფიცირებისათვის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა. გიორგი ფრუიძე - კომისიის წევრი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ. რატი სხირტლაძე - კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი;

გ. ირინე ვერძეული - კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დ. დავით გოგიჩაიშვილი - კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ე. არჩილ მაკარიძე - კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის არასაშტატო სპეციალისტი;

ვ. მერაბ კანკავა - კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი."

1.2. ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულმა პირებმა უზრუნველყონ საქართველოს არსებული კანონმდებლობისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული დირექტივის (დანართი XV-B; 2002 წლის 7 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/21/EC „ჩარჩო" დირექტივის, რომელიც შესწორებულ იქნა დირექტივა №2009/140/EC-ით დებულებების „ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში ex ante რეგულაციას დაქვემდებარებული პროდუქტისა და მომსახურების შესაბამისი ბაზრების განსაზღვრისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორ(ებ)ის გამოვლენის შესახებ") შესწავლა და შესაბამისი წინადადებების მომზადება 2016 წლის 1 სექტემბრამდე."

1.3. ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი."

**2.** ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

**3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

**4.** დაევალოს კომისიის წევრს, გიორგი ფრუიძეს, კონტროლი ბრძანების შესრულებაზე.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე